

საქართველოს ორგანული კანონი
„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41, 08.12.2009, მუხ. 300) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1.კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 35⁵ 35⁶ 35⁷ მუხლები :

„მუხლი 35⁵. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა წარდგენის წესი

1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის არსებობისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით აცხადებს კონკურსს. კონკურსი ცხადდება ერთ ან რამდენიმე ვაკანტურ ადგილზე შესაბამისი სპეციალიზაციის (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი) მითითებით. განცხადება კონკურსის გამოცხადების თაობაზე უნდა შეიცავდეს კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა და არჩევის წესის აღწერას.
2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 30 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა, 10 წლის პროფესიული გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას, არ არის ნასამართლევი. პროფესიულად გამოცდილებად მიიჩნევა ადვოკატად, პროკურორად, მოსამართლედ მუშაობა, სამეცნიერო, აკადემიური და კვლევითი საქმიანობა, უფლებდაცვითი საქმიანობა.
3. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი არ შეიძლება იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ან იუსტიციის საბჭოს ყოფილი წევრი, რომლის უფლებამოსილების შეწყვეტიდან გასულია არაუმეტეს 1 წლისა.
4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ადგენს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატთა შესარჩევად რეგისტრაციისათვის განცხადებების წარდგენის ვადას. ეს ვადა არ უნდა

იყოს 1 კალენდარულ თვეზე ნაკლები. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი განცხადებები არ მიიღება. კანდიდატი უფლებამოსილია განაცხადი გააკეთოს მხოლოდ ერთ ვაკანსიაზე.

5. კანდიდატმა უნდა შეავსოს განაცხადის ფორმა და წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტები:

- ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ;
- გ)სამოტივაციო წერილი;
- დ)სრული პროფესიული გამოცდილება ზუსტი თარიღებისა და უშუალო ხელმძღვანელ(ებ)ის მითითებით;
- ე)ინფორმაცია სამხედრო სამსახურის შესახებ;
- ვ) ინფორმაცია მიღებული სახელმწიფო ჯილდოსა და მისი მიღების საფუძვლის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში ;
- ზ)ინფორმაცია მინიჭებული წოდებისა და მინიჭების საფუძვლის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- თ) პროფესიული ასოციაციების ან გაერთიანებების წევრობა;
- ი)გამოქვეყნებული ნაშრომები, პუბლიკაციები;
- კ) კანდიდატის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები, რომელსაც კანდიდატი მიიჩნევს წარმოსადგენად საჭიროდ;
- ლ) თვითაწილების შესახებ გადაწყვეტილებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- მ) პოლიტიკური აქტივობები და აფილირება რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან (მათ შორის ხომ არ ყოფილა თვითონ, ან მისი ოჯახის წევრი რომელიმე პოლიტიკური პარტიის შემომწირველი);
- ნ)ინფორმაცია იმ საქმეების შესახებ, რომელშიც კანდიდატი ყოფილა მხარე (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში);
- პ)კანდიდატის მიერ გაკეთებული საკონსტიტუციო წარდგინებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ჟ)როგორც ადვოკატს თუ აქვს ნაწარმოები საქმე საკონსტიტუციო სასამართლოში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში ან/და საერთაშორისო არბიტრაჟებში;
- რ) მისაღები შემოსავლები (როდესაც შესრულებული აქვს სამუშაო და მომავალში უნდა მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება);
- ს) გადასახადების გადახდის დამადასტურებელი ინფორმაცია;
- ტ) სასამართლოში მუშაობის პერიოდში დამატებითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
- უ) შემოსავლის წყაროები ბოლო 6 თვის განმავლობაში;
- ფ) კანდიდატის წინააღმდეგ წარდგენილი დისციპლინური საჩივრების შესახებ ინფორმაცია;
- ქ) ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია

- დ) არის თუ არა იმ საქმის განმხილველი მოსამართლე, რომელშიც მსჯავრდებული არის „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ ან პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირი;
- ე) არის თუ არა იმ საქმის განმხილველი მოსამართლე, რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა.
6. კონკურსის მონაწილემ განცხადების წარდგენიდან 7 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდა წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ცნობა საჯარო სამსახურის ბიუროსთვის თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის შესახებ.
 7. იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის ყველა მონაწილის სიასა და თითოეული მონაწილის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს აქვეყნებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე რეგისტრაციის დასრულებისთანავე.
 8. იუსტიციის უმაღლესი საბჭო 7 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს კონკურსის მონაწილეთა განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტებს.
 9. იუსტიციის უმაღლესი საბჭო აფასებს კონკურსის მონაწილის შესაბამისობას ამ მუხლის მე-2 -მე-5 პუნქტების მოთხოვნებთან და იღებს გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას მხარს დაუჭერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების არანაკლებ ორი მესამედი და არამოსამართლე წევრების არანაკლებ ორი მესამედი. კენჭისყრაში არ მონაწილეობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ის წევრი, რომელიც აცხადებულ იქნა ამ კანონის 35³ მუხლით დადგენილი წესით.
 10. იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის იმ მონაწილეთა სრულ სიას, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის მე-2--მე-5 პუნქტების მოთხოვნებს, გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატებს.
 11. წარდგენას თან უნდა ახლდეს კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მომზადებული დასაბუთება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის თაობაზე.
 12. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატთა სია და კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.
 13. უარის თქმის შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის მონაწილეს წერილობით აცნობებს მიღებულ გადაწყვეტილებას და

წარუდგენს შესაბამის დასაბუთებას უარის თქმის საფუძვლის/საფუძვლების მითითებით.

14. კონკურსში მონაწილე პირი უფლებამოსილია, აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში ამ კანონის 35⁴ მუხლით დადგენილი წესით, ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლით:
- ა) კონკურსი ჩატარდა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დარღვევით;
 - ბ) გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული კანდიდატის ნომინირებაზე უარის თქმის მიზეზები;
 - გ) კანდიდატი აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს და უსაფუძვლოდ ეთქვა უარი ნომინირებაზე.

მუხლი 35⁶ . უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა განხილვის წესი

1. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი შეისწავლის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარმოდგენილ კანდიდატებს კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის დახმარებით.
2. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება 9 წევრის შემადგენლობით. სამუშაო ჯგუფის წევრები შეირჩევიან შემდეგი წესით: საქართველოს სახალხო დამცველი წარადგენს 2 წევრს; საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - 2 წევრს; საქართველოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების გაერთიანება, რომლის წევრთა საქმიანობის ერთ-ერთი სფეროს, კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 3 წლის განმავლობაში, სასამართლო სისტემის რეფორმების ხელშეწყობა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი წარმოადგენს - 3 წევრს; აკადემიური წრის წარმომადგენლები- 2 აღიარებული ექსპერტს სამართლის საკითხებში;
3. საქართველოს პარლამენტი მოსამართლეობის კანდიდატს აფასებს ორი ძირითადი კრიტერიუმის - კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის საფუძველზე, ამ კანონის 35¹ მუხლის მე-3 - მე-16 პუნქტებით განსაზღვრული მახასიათებლების შესაბამისად და იყენებს კანდიდატის ამ კრიტერიუმებთან შესაბამისობის განსაკუთრებით მაღალ სტანდარტს.
4. საქართველოს პარლამენტი კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს:

- ა) არის თუ არა კანდიდატი იმ საქმის განმხილველი მოსამართლე, რომელშიც მსჯავრდებული არის „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ ან პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირი;
- ბ) არის თუ არა კანდიდატი იმ საქმის განმხილველი მოსამართლე, რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა.
5. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია:
- ა) შეამოწმოს მოსამართლეობის კანდიდატების/იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე და სისრულე;
 - ბ) საჭიროების შემთხვევაში მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია კანდიდატის კვალიფიკაციის, მისი პროფესიული გამოცდილებისა და რეპუტაციის თაობაზე ყველა შესაძლო სანდო წყაროდან;
 - გ) საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს ინტერვიუ კანდიდატის რეკომენდატორთან ან/და მოიძიოს დამატებითი რეკომენდაციები;
 - დ) განიხილოს და გადაამოწმოს დაინტერესებული პირების მიერ კანდიდატთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაცია;
 - ე) საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია გამოითხოვოს კანდიდატის შესახებ ყველა ინფორმაცია, გამოკითხოს მოწმეები, გამოიკვლიოს დოკუმენტები; მოამზადოს დასკვნა თითოეულ ნომინირებულ კანდიდატთან დაკავშირებით და წარუდგინოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტს.
6. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია, ინფორმაციის მოძიების მიზნით მიმართოს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც შეეძლება კანდიდატთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონდეს. სამუშაო ჯგუფი ინფორმაციას მოიძიებს და ამუშავებს ამ კანონის 35² მუხლით დადგენილი წესით;
7. სამუშაო ჯგუფი პარლამენტის ვებგვერდზე აცხადებს, სულ მცირე, 1 თვიან ვადას, რომლის განმავლობაშიც დაინტერესებულ პირებს შეეძლება სამუშაო ჯგუფს მიაწოდონ ინფორმაცია/დოკუმენტაცია კანდიდატთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია, მოიწვიოს და მოუსმინოს ინფორმაციის /დოკუმენტაციის მიმწოდებელს, თუკი ამას მოითხოვს სამუშაო ჯგუფის წევრი. სამუშაო ჯგუფის წევრები უფლებამოსილი არიან, კითხვები დაუსვან და მიიღონ პასუხები. ამ პუნქტით დადგენილი წესით მოპოვებულ ინფორმაციას სამუშაო ჯგუფი

ამუშავებს ამ კანონის 35² მუხლის მე-7-მე-13 მუხლებით დადგენილი წესით.

8. კანდიდატს უფლება აქვს გაეცნოს სამუშაო ჯგუფის მიერ მასზე მოძიებულ ინფორმაციას/დოკუმენტაციას და წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
9. სამუშაო ჯგუფი განიხილავს წარმოდგენილ კანდიდატებს, რის შემდეგაც თითოეული წევრი დამოუკიდებლად აფასებს კანდიდატს ამ კანონით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და აფიქსირებს ერთ-ერთ შემდეგ შეფასებას:
 - ა) კანდიდატი შეესაბამება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოზიციას;
 - ბ) კანდიდატი არ შეესაბამება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოზიციას.
10. სამუშაო ჯგუფი აჯამებს შეფასების შედეგებს თითოეულ კანდიდატთან მიმართებით და შეფასების შედეგებს წარუდგენს იურიდიულ საკითხთა კომიტეტს. წარდგენას თან უნდა ახლდეს დეტალური წერილობითი ანგარიში, სადაც წარმოდგენილი იქნება დასაბუთება ამ კანონის 35¹ მუხლის მე-3 - მე-16 პუნქტებით განსაზღვრულ თითოეულ კრიტერიუმთან კანდიდატის შესაბამისობის თაობაზე. სამუშაო ჯგუფის წევრი, რომელიც არ ეთანხმება სამუშაო ჯგუფის ანგარიშს, კომიტეტს წარუდგენს განსხვავებულ მოსააზრებას შესაბამისი დასაბუთებით. სამუშაო ჯგუფის შეფასების შედეგები ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე. წერილობითი ანგარიში, ასევე, ეგზავნება იმ კანდიდატს, რომლის შესახებ არის მომზადებული.
11. კანდიდატების მოსმენა ტარდება საჯაროდ კომიტეტის სხდომაზე. კომიტეტის სხდომა გადაიცემა პირდაპირი ტრანსლაციით და დაუშვებელია მისი დახურვა. კომიტეტის სხდომა შეიძლება ჩატარდეს სამუშაო ჯგუფის მიერ კანდიდატების წარდგენიდან არაუადრეს 1 თვისა.
12. კომიტეტის სხდომის თავმჯდომარეა კომიტეტის თავმჯდომარე. კომიტეტის სხდომის თანათავმჯდომარეა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც წარდგენილია, უმცირესობის ან იმ ფრაქციის მიერ, რომელიც არ არის გაერთიანებული უმრავლესობაში ან უმცირესობაში.
13. გარდა კომიტეტის წევრებისა, კომიტეტის სხდომაზე კანდიდატებისთვის კითხვის დასმისა და მოსაზრების გამოთქმის

უფლება აქვთ, აგრეთვე: პარლამენტის სხვა წევრებს, საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებს, ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს, აკადემიური წრის წარმომადგენლებს. გამომსვლელებსა და მათი გამოსვლის თანმიმდევრობას განსაზღვრავს კომიტეტის თავმჯდომარე. იმ პირთა გამოსვლების დასრულების შემდეგ, რომელთაც სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა მიეცათ სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, დამატებით გამომსვლელებსა და მათი გამოსვლის თანმიმდევრობას განსაზღვრავს სხდომის თანათავმჯდომარე.

14. კომიტეტის წევრი უფლებამოსილია კომიტეტის სხდომაზე მოიწვიოს სამუშაო ჯგუფის წევრი/წევრები და დაუსვას კითხვა/კითხვები სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ ანგარიშთან და ჩატარებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია უპასუხოს აღნიშნულ კითხვებს.
15. კომიტეტი თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით ატარებს ღია კენჭისყრას და გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით.
16. საქართველოს პარლამენტი პლენარულ სხდომაზე კენჭს უყრის თითოეულ კანდიდატს, მათ შორის იმ კანდიდატებსაც, რომელთაც მხარი არ დაუჭირა იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა.

მუხლი 35⁷. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა არჩევის წესი

1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს უვადოდ, ამ კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
2. უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის ერთი და იმავე კანდიდატის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ერთხელ.
3. საქართველოს პარლამენტი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა არჩევის დროს მხედველობაში იღებს გენდერული ბალანსის დაცვას.
4. იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს უზენაესი სასამართლოს სულ ცოტა სამი მოსამართლის მიერ მხარდაჭერილ ან საბჭოს წევრის მიერ დასახელებულ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის ნომინირების საკითხს და გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს მოსამართლე წევრთა 2/3-ის და არამოსამართლე წევრთა 2/3-ის მხარდაჭერით.

5. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთაგან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით 10 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
6. საბჭო უფლებამოსილია, წარადგინოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი უკვე არჩეულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანონით განსაზღვრული მინიმალური რაოდენობის (28 მოსამართლის), სულ მცირე, სამი მეოთხედი.
7. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.

2. 36-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი